

ლუარა სორდია¹

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2023.21.27>

ხელოვნების ფსიქოლოგიის ერთი პრობლემა ედგარ პოსა და გალაკტიონის შემოქმედების მიხედვით

აბსტრაქტი. დიდი ამერიკელი ავტორის, ედგარ ალან პოს და გენიალური ქართველი მეფე - პოეტის გალაკტიონ ტაბიძის კონცეპტებში გვხვდება გასაოცარი თანხვედრები, რომლებიც ამ ორი პოეტისა და დიდი ადამიანის მაღალ სულიერ ღირებულებებსა და სამყაროსადმი მსგავს დამოკიდებულებებზე მიუთითებს.

ორივე პოეტის ნაწერებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გიჟის, შეშლილის ცნებებს. ეს მეტაფორული გამოყენება არა კლინიკურ შეშლილობას, არამედ მხატვრის ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებზე მაღლა, ცნობიერების უფრო მაღალ დონეზე ამაღლებას გულისხმობს. გოეთე, გრიგოლ რობაქიძე, ედგარ პო, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი შეშლილის ცნებას უმაღლესი აღქმის, დადებითი ენერგიისა და შთაგონების სინონიმად აღიქვამდნენ. მაგრამ სიგიჟემ, სიგიჟემ თავისი საზიზღარი შინაარსი ტოტალიტარულ საბჭოთა იმპერიაში შეიძინა და სამართლიანობისა და თავისუფლების მსახურ ხელოვანებს შეშლილებად მოიხსენიებდნენ. ამის მაგალითია ტერენს გრანელის ფსიქიკურად დაავადებულად გამოცხადება. საბჭოთა პოლიტიკურმა სისტემამ არც გალაკტიონ ტაბიძე დაინდო და მისგან „გიჟი პოეტის“ ხატი შექმნა.

„შეშლილი პოეტის“ გენიალური ესთეტიკა ჩანს ამერიკელი პოეტის ედგარ ალან პოს შემოქმედებაშიც. ამ მხრივ, ის გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის სულიერი მოკავშირეა. განსაკუთრებით დიდი მსგავსებაა ედგარ პოსა და გალაკტიონის შემოქმედებაში.

¹ **ლუარა სორდია.** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

წინამდებარე ნაშრომი ამ ორი დიდი შემოქმედის მემკვიდრეობაში არსებულ პარალელებს განიხილავს ერთი კონკრეტული კონცეპტის - გიჟის, შეშლილის მეტაფორული გააზრების კუთხით.

საკვანძო სიტყვები. ხელოვნების ფსიქოლოგია, ედგარ ალან პო, გალაკტიონ ტაბიძე, შემოქმედებითი პარალელები, მეტაფორა,

Luara Sordia²

Sokhumi State University

A Single Problem of the Psychology of Art in the Works of Edgar Poe and Galaktion Tabidze

Abstract. There are striking similarities in the concepts of the great American author Edgar Allan Poe and the brilliant Georgian king-poet Galaktion Tabidze, which indicate the high spiritual values and similar attitudes towards the world of these two poets and great men.

In the writings of both poets, special attention is paid to the concepts of the madman and the insane. This metaphorical application refers not to clinical insanity but to the elevation of the artist above the possibilities of ordinary man, to a higher level of consciousness. Goethe, Grigol Robakidze, Edgar Poe, Galaktioni, Terenti Granelli understood the notion of the insane as synonymous with superior perception, positive energy and inspiration. But madness, insanity acquired its odious content in the totalitarian Soviet empire and artists serving justice and freedom were referred to as madmen. An example of this is the declaration of Terence Granelli as mentally ill. In this regard, the Soviet political system did not spare Galaktion Tabidze and created the image of a “mad poet” from him.

The ingenious aesthetics of the “mad poet” can also be seen in the work of the American poet Edgar Allan Poe. He is a spiritual ally of Galaktion Tabidze and Terence Granelli. There is a particularly great similarity in the work of Edgar Poe and Galaktion.

This scientific study examines the parallels in the legacy of these two great creators from the perspective of a metaphorical understanding of one specific concept - the madman, the insane.

Keywords: Psychology of Art, Edgar Allan Poe, Galaktion Tabidze, Creative Parallels, Metaphor.

² **Luara Sordia.** Doctor of Philology. Professor at Sokhumi State University.

შესავალი. დიდ შემოქმედთა უმეტესობის ცხოვრებას გიჟის, გადარეულის, შემლილის ცნებები აემგზავრა. გამონაკლისი არც ედგარ პო ყოფილა. მიუთითებდნენ, რომ ის იყო „ალკოგოლიკი“. რეალურ ცხოვრებას გაურბოდა. შემლილობა იქვე ჩასაფრებოდა და მან იცოდა ეს. ერთხელ უთქვამს: „მტრებმა ჩემი შემლილობა სმას დააბრალებს და არა სმა შემლილობას“ (ესსეები 1989: 538).

დიდი ამერიკელი შემოქმედი განმარტავდა: „მე არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებს ეს სპირტიანი სასმელები, რასაც ხანდახან ეს ვეტანები. ტკბობისადმი ლტოლვის გამო კი არ დავიღუპე ცხოვრება, რეპუტაცია და გონება, არამედ ეს იყო უიმედო ცდა, გავქცეოდი მტანჯველ მოგონებებს, დაუძლეველი მარტოობის შეგრძნებას და გაურკვეველი ბედისწერის წინაშე ბრძოლას.“ სამწუხაროდ, იგივე დამოკიდებულებები გვაქვს გენიალური ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ. ამ პარალელებში იკვეთება მათი სულიერი მსგავსება და ის რაღაც სხვა, რომელიც მხოლოდ პოეტთა თავშესაფარია.

დისკუსია. ედგარ პოს სიცოცხლეშივე შეიქმნა ლეგენდა შემლილ მანიაკზე, ალკოჰოლიკზე, ნარკომანზე. საიდუმლო იყო მისი აღსასრული. როცა ქუჩაში წაიქცა, ექიმს წერილი გაუგზავნეს, გონებაზე შერყეულიაო. პოეტი ეგდო, ჭუჭყიანი, უგონო, სხვისი ტანსაცმლით და ბოდავდა კედელზე არსებული სპექტრული საგნების შესახებ. არ ამბობდა, რა დაემართა. ორი დღის შემდეგ, სიკვდილის წინ წამოიყვინა: „ღმერთო, უშველე ჩემს ტანჯულ სულს“ (ესსეები, 1989: 542).

მრავალი ნეგატიური ეპითეტით შეუმკიათ დიდი მწერალი, მაგრამ ფაქტია: მისმა ნაწერებმა შესძრა მსოფლიო, დაამარცხა სიკვდილი და მარადიულობაში დამკვიდრდა მათი ავტორი.

ედგარ პოს მოთხრობაში „გული გამთქმელი“ ერთმანეთისგან გარჩეულია ნერვიული აშლილობა და ფსიქიკური შემლილობა, თითქოს თავის თავზე ეთქვას ამ ნაწარმოების ავტორს: „დიახაც! ვიყავი და ვარ კიდევაც ნამეტნავად, ნამეტნავად ნერვიული, მაგრამ ახლა არა თქვამს, გიჟია ეს კაციო. ავადობამ კი არ დამიჩლუნგა და შემიმუსრა. პირიქით, მთლად ამიღესა გრძნობა. ყურთასმენა გამიხადა უფრო მახვილი... ყველაფერი მესმის ცისა და ბარის. ბევრი ჯოჯოხეთისა. რა გიჟი, რის გიჟი? როგორ ცდებით, გიჟი რომ გგონივართ ასეთი ცხოველი გრძნობების კაცი“ (პო, 2011: 128).

„ელეონორაში“ წუხილია, რომ სიგიჟის ცნებას ერთმნიშვნელოვან გააზრებას აძლევენ და მის ნამდვილ არსს, რომლის გარეშეც არ არსებობს ჭეშმარიტი შემოქმედება, ზერელედ ეკიდებიან: „ჩამომავლობით მეც იმათთაგანი ვარ, ვინც დაჯილდოებულია ძალუმი ფანტაზიით და მგზნებარე ვნებით. გიჟს მეძახდა ხალხი. საკითხავი კი ის არის, იქნება, უმაღლესი ჭკუა-გონებაა სიგიჟე, იქნებ, ბევრ რამეს, რაც დიდებულია, ყოველივე იმას, რაც ღრმაა, ფიქრის ავადობა აქვს საფუძვლად – ისეთი მდგომარეობა გონისა, რომლის კიდევ მეტი ამაღლება გონიერების წარხოცის საფასურია.

„ვთქვათ და მართლაც გიჟი ვარ. ორგვარია ჩემი სულელური მდგომარეობა: მდგომარეობა ნათელმოსილი გონიერებისა, რაც უდავოა, ვით მოგონებები ჩემი სიცოცხლის პირველი წლებისა და ჩემს ახლანდელ ყოფასთან დაკავშირებული ბინდისნაირი და უმტკიცო მდგომარეობა, ჩემი არსებობის მეორე, უდიდესი ხანის ხსოვნა. სწორედ ამიტომ უნდა დაიჯეროთ მონათხრობი ჩემი აღრეული ყოფიერების შესახებ, ხოლო უფრორე გვიანდელ ამბავს ისეთი ნდობით მოეკიდოთ, როგორსაც იგი იმსახურებს... ოიდიპოსის მსგავსად ამოხსენით ეს ამოცანა“ (პო 2011: 74-75).

ედგარ პოს ლექსში „იზრაფელ“ აქცენტირებულია „გიჟური ვნება“ (პო, 2001: 51-53). „ჩვენ ვმღეროდით ანაკრეონტის სიმღერას, სიმღერას სიგიჟეზე“ ნათქვამია „აჩრდილში“ (პო, 2001: 82-86). „შეშლილი მოჩვენებები“ იქცევა ყურადღებას ლექსში „ახლახან, იქ“ (პო, 2001: 40). „ის იყო უცნაური და მგზავრი შეშლილი“, წერს ერთგან (პო 1911: 9), ან „ის ბოდავს, როგორც გიჟი“ („ოქროს ხოჭო“) (პო, 2011: 181-182). „წითელი სიკვდილის ნიღაბში“ არის ასეთი ფრაზები: „ზოგიერთები მას თვლიდნენ შეშლილად. ახლობლებმა იცოდნენ, ნამდვილად რომ ასე იყო“ (პო, 2011: 9). „ოვალურ პორტრეტში“ ნათქვამია: „... ის იყო მგზნებარე და უცნაური შეშლილი“. ქეშმარიტი ოსტატისთვის სიყვარულზე მაღლა დგას ხელოვნება, რომელიც საჭიროებს ისეთ მსხვერპლს, ძალისხმევას, „გიჟურ თავდავიწყებას“, რომელსაც ვერ უძლებს ჩვეულებრივი ადამიანი (პო 1911: 9). მალმტრემის დინების მაყურებელ ადამიანს უცნაური ფანტაზიები ეწვევა და ფიქრობს: „ჭკუა დამაკარგვინა ხომალდის ბრუნვამ“ (პო, 2011: 22-37).

მწერლის ბიოგრაფები, ნაცნობები ყურადღებას ამახვილებენ ედგარ პოს „უცნაურ გამოხედვაზე, უცნაურ, შემამინებელ ლიტერატურაზე“ („ოქროს ხოჭო“) (პო 1986: 4).

ტრაგიკული იყო ედგარ პოს თავგადასავლები. პოეტი ვერ შეეგუა ამერიკული ცხოვრების საქმიან რიტმს, აწვალედა შავი მელანქოლია, სამიშ მეამბოხეობაში გადაზრდილი. სვამდა, ნარკოტიკებს ეტანებოდა, ამიტომაც უყურებდნენ, როგორც გიჟს და ვიზონერს. გამოირჩეოდა ცინიზმით, გაღიზიანებით, დემონური სიამაყით. აღიზიანებდა თანამედროვეთა საუბარი, რომ ის არ იყო ამერიკელი მწერალი (ბრეტ გარდი, ჰემინგუეი). ამერიკა მისთვის იყო კოლოსალური, გაუნელელებელი აუტოლაფე“ (ნ. ანასტასიევი) (პო 1911: 4).

თვითონ ედგარ პოს სიგიჟე, როგორც კლინიკური ავადმყოფობა კი არ აინტერესებდა, არამედ ჩვეულებრივთა საზღვარს იქით გაღწეული, უზენაეს სიბრძნესთან კონცენტრირებული გონი, რომლის გარეშე არ არსებობს ქეშმარიტი შემოქმედება. ამ პრობლემას მრავალგზის უბრუნდება ედგარ პო: „გიჟს მეძახდა ხალხი. საკითხავი კი ის არის, იქნებ უმაღლესი ჭკუა-გონებაა სიგიჟე. იქნებ ბევრი რამე, რაც დიდებულია, ყოველივე იმას, რაც ღრმაა, ფიქრის ავადობა აქვს საფუძვლად, ისეთი მდგომარეობა გონისა, რომლის კიდევ მეტი ამაღლება გონიერების წარხოცის საფასურია. მეხსიერების ჩრდილებს, ლანდებს უსასრულობის საზღვრის

გადალახვა იწვევდა. მრავლისთვის შეუმჩნეველი ჰაერში მოლივლივ, გულის ამღვრევი ხილვები ევლინებოდნენ, რაც ჰგავდა სიგიჟეს, იმ სიგიჟეს, აკრძალული ამბის მოგონებისას რომ მოიცავს გოგნს“ („მთხრებლი და ქანქარა“) (პო, 2011: 103-118).

გულისხმობს რა შემოქმედთ და უპირველესად, ედგარ პოს, ზვიად გურული გვამცნობს: „მათ უცნაურობაში არაფერია უცნაური. „აბა როგორ შეიძლება „ნორმალურ“ ადამიანს დაეწერა „კლდოვანი მთების ზღაპარი?!“ ვერც „მთხრებლისა და ქანქარას“ დაწერდა თუნდაც უდიდესი, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მწერალი... „ვინ იყო ედგარ პო – გიჟი, ნარკომანი, ლოთი, დიდი მწერალი თუ ყველაფერი ერთად?!“ „ალბათ, ალბათ, თუმცა, ყველაზე ზუსტად თვითონ თქვა: „დიახ, მე სულით ავადმყოფი ვარ, მაგრამ ხშირად სულის სიძლიერის მძიმე შეტევებიც მაქვს ხოლმე“ (პო 2011).

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილის ცნებას და შეშლილ დემონს უწოდებდა ბეთჰოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნიით ვართ მოცული და ვერც კი მივმხვდარვართ, საიდან ამობრწყინდება მზე“ (ალშვანგი, 1963: 102). ლექსში „ედარებოდა შეშლილს“ – გალაკტიონიც შეშლილად მოიხსენებს ბეთჰოვენს, რა თქმა უნდა, არა კლინიკური შეშლილობის ჩრილში, არამედ როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთა შესაძლებლობებზე ამაღლების სიმბოლოს: „მაშინ ტოვებდა ყველას და ყოველს და ფერიულ ალში მცურავი, ედარებოდა შეშლილ ბეთხოვენს დაუნდობელი და მომღურავი“... („ედარებოდა შეშლილს“) (ტაბიძე 1993: 186-187).

„ანორმალობა! ამგვარ ქაღებით ათასში ერთხელ ელავს პარტერი, საუკუნეში ერთხელ იდეებს ისვრის გრძნობათა მილიარდერი“, გალაკტიონის ამ განაცხადშიც არანორმალურობა, ჩვეულებრივ ადამიანთა შესაძლებლობებზე ამაღლებას გულისხმობს, რაც აუცილებელია სულის, გრძნობის, ფსიქიკის მილიარდი წლების საიდუმლოების წვდომისთვის.

ხელოვნების ფსიქოლოგიაში არსებობს მიმართულება, რომელიც გენიალობასა და სიგიჟეს შორის შეხვედრას პოულობს და სიგიჟეს ნიჭიერების აუცილებელ პირობად გაიაზრებს. ამ თვალსაზრისით, ძალზე გახმაურებულია იტალიელი ფსიქიატრის ჩეზარე ლომბროზოს წიგნი „გენიალობა და შეშლილობა“. მასში სპეციალურად არის მოძიებული გენიალურ მოაზროვნეთა გადახრები, რაც დენის მანიაში, შიშში, მტრების მოლანდებაში, არყოფილის ნამდვილივით განცდაში, ხილვების, ჰალუცინაციების მოჭარბებაში, არაადეკვატურობაში გამოიხატება. ამ ნიშნით „არანორმალურებად“ მიიჩნევიან კაცობრიულ აზრთა გიგანტები: დიკენსი, დოსტოევსკი, რუსო, ნიცშე, გოგოლი, ტოლსტოი (ლომბროზო, 1958).

ჩეზარე ლომბროზოს გარდა, არსებობენ სხვა მოაზროვნეები, რომლებიც ჩხრეკენ ნიჭიერთა „ავადმყოფობის“, პათოლოგიური გამოვლინებების ფაქტებს

და კატეგორიულ ტონს ანიჭებენ თავიანთ ნააზრევს, თოთქოს შემლილობის გარეშე არ არსებობს გენიალობა (ბლუზ პასკალი, ერნსტ კრეჩმერი, მაქს ნორდუ).

ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის, მიხეილ ზოშჩენკოს, ანრი ბერგსონის მიხედვით შემოქმედება გაგებულია, როგორც ფსიქოთერაპია, სუბლიმირება, შინაგანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში.

შემლილს, გიჟს, გადარეულს, მთელ რიგ შემთხვევებში აღმატებული გრძნობის სინონიმად გაიაზრებენ გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი. გალაკტიონი აცხადებდა, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შემლილი და ბედნიერი“. ასეთივე შინაარსია მის განაცხადში „მუსიკალური და გადარევის ეფემერები“ („მუსიკალური ფანტაზმა“) (ტაბიძე 1993: 221).

ეპითეტი „შემლილი“ დადებითი ენერგიის მატარებელ ცნებად მიუსადაგა გალაკტიონმა თავის საყვარელ პოეტებს, მხატვრებს: „შემლილი ვერლენი, შემლილი ყაზბეგი, შემლილი ბეთხოვენი, შემლილი ფიროსმანი, ძეგლი ... შემლილი და წინასწარმთქმელი“...

პოეტი „გრიგალია, შერყევა“, „ოცნება გიჟია“, დაფიქსირებულია „მოგონების შემლილი ბოდვა“, „გრძნობათა მილიარდერის“ ანომალობა („წარსულში“) (ტაბიძე 1993: 425).

გალაკტიონის შემოქმედებაში შემლილი ჰქვია ყოველივე აღმატებულს, უჩვეულოს. „შემლილი სახით ჰკიოდა ქუჩა, ბაღში შემლილივით კვდება თებერვალი, სიგიჟემორეულ ზღვაში გადაშვება, შემლილი ფერი...“

დაუძლეველი ტკივილიც შემლილივით აფორიაქებს ლექსს: „მე სიმღერას შევიკივლებ დარდებს შებორკილივით, ჩემი არდაფარული მწუხარების საგანი, შემლილივით დაადებს კარებს წივილ-კივილით, რომ უგულოდ ჩააქროს რამე გრძნობათაგანი“ („შემლილივით დაადებს კარებს“) (ტაბიძე 1993: 176). „ო, შემლილა იგი, თუ წინასწარის მთქმელი?“ კითხულობს პოეტი ლექსში „ქუჩა“ (ტაბიძე 1993: 370).

გალაკტიონის „სიგიჟე“ რეალურად იმაში გამოიხატებოდა, რომ ფანჯრიდან შემოსულ სხივს კოცნიდა, ერთდროულად ესმოდა რამდენიმე მუსიკოსის, რამდენიმე მუსიკალური ინსტრუმენტის და კოდოს წივილის ხმა: „ყურებში ხმაურობა მესმოდა: შუმანი, ბეთხოვენი, ჭიანური, როიალი – სულ ერთად იყვნენ არეული! ხან კი კოდო დამწივოდა ყურთან, როდესაც ყოველივე ეს ვუთხარი ექიმს პონდოვს, მან თვალები ფართოდ გააღო გაოცებისგან, მის სახეზე წავიკითხე: შემლილაო საწყალი გალაკტიონი“ (ტაბიძე 1993: 338).

გალაკტიონი მომსწრე იყო ფსიქიატრიული რეპრესიების, თავისუფალ მოაზროვნეთა იდეური დამუშავების. „ექიმობის“ შიში გასჩენია პოეტს 1949 წელს კარდიოლოგიის ინსტიტუტში მკურნალობისას, როცა იქიდან გამოსვლისას ხელი მოაწერინეს „შრომისუნარიანობის დაკარგვაზე“, რის გამოც გამუდმებით აწვალვდა მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის, გიჟის იარლიყის მიკერების და

ამით სულიერი განიარაღების შიში. ეს აპრობირებული მეთოდი იყო ტოტალიტარული საბჭოთა სახელმწიფოში. ამის მაგალითი იყო ტერენტი გრანელის გამომწვევა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, პეტრე სამსონაძის მოთავსება სულით ავადმყოფთა პალატაში ბერიას აუგად ხსენების გამო და ცემით სიკვდილამდე მიყვანა.

გალაკტიონის დღიურში მოიპოვება ასეთი ჩანაწერი: „რაც თვით არ სჯერათ, მე იმაში სურთ დამაჯერონ... არა, მე მდგმური არ მსურს ვიყო ამ საგიჟეთის“ (ტაბიძე 1993: 459). „ჰმ... ავად გაგხდიან, თუ მაგრად არ დაიჭირე თავი“, ჩიოდა პოეტი. გიჟი, შეშლილი თავის ოდიოზურ შინაარსს იძენდა ტოტალიტალურ საბჭოთა სახელმწიფოში და ამ სახელით ინათლებოდნენ თავისუფალი მოაზროვნეები, სიმართლის მსახურნი. „უსამართლო სოციალურ საზოგადოებაში „თავისუფლებისაკენ სწრაფვა, უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სიგიჟედ ითვლებოდა. ფსიქიატრიული რეპრესიები საქმით განამტკიცებდა მოარული ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობის და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია“ (გამსახურდია 1995: 49).

შემთხვევით არ უთარგმნია გალაკტიონს ედგარ პოს „გული გამთქმელი“, წერს ვახტანგ ჯავახაძე (ჯავახაძე 1991: 502), აქაც გამოჩნდა მათი სულიერი კავშირები, დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობათა გადალახვის მსგავსი მეთოდები. „კედლებს რომ სინჯავს გრძნული თითებით უკვდავებისთვის შეშლილი გონი“, ნათქვამია პოეტის მეფის ლექსში „აქ მარმარილოს მაღალი სვეტი“ (ტაბიძე 1993: 80). „სიბრძნის ზღვაში“ მოგზაური პოეტი „მორეულ მზეს“ – შთაგონების მომმადლებელ სულიწმინდას ელოდება და „სიგიჟემორეულ ზღვაში“ გადაშვებაც მხოლოდ ჭეშმარიტების, ხილვების, ქვეცნობიერის სამყაროდან სიტყვის მარგალიტების მოხელთებაა: „... წინ! ბაწარზე ორეულ მზით აივსე პეშვები, ან მზეს ნახავ მორეულს, ან სიგიჟემორეულ ზღვაში გადაეშვები“... (ტაბიძე 1993: 62).

ეს „სიგიჟე“, ჩვეულებრივ მოკვდავთა შესაძლებლობების შორს გაწევაა, რომლის გარეშე არ იქმნება ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშები. ასეთი „სიგიჟე“ ბედნიერებაა და ამიტომაც ამბობს გალაკტიონი, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი“ („მეტეხი იდგა რუხი, პიტალო“) (ტაბიძე 1993: 80).

ხელოვანის, შემოქმედის ზეცნობიერ სამყაროში შესვლის, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გადალახვის სურვილით ატანილი ტერენტი გრანელი აცხადებდა: „თუ ვტოვებ გიჟის შთაბეჭდილებას, დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია“... დღეს ეჭვს აღარ იწვევს, რომ პოეზიისთვის ჯვარცმული, მოუთვინიერებელი ტერენტი ხელისუფლების არაადამიანური პოლიტიკის მამხილებელი „მემენტო მორის“ ავტორი ფსიქიატრიული რეპრესიების მსხვერპლი იყო.

დასკვნა. ჩვეულებრივი მკითხველისვისაც ნათელია ედგარ ალან პოსა და გალაკტიონის შემოქმედების მსგავსება. ორი გენიოსი, ორი სხვადასხვა ქვეყანა და კონტინენტი, მაგრამ მსგავსება ბედისწერაში, რომელიც მათ შემოქმედებაშია

ასახული და მსოფლიო შედეგებად ქცეული. გალაკტიონის და ედგარ პოს „სიგიჟეს“ უნდა ვუმაღლოდეთ მსოფლიო მასშტაბის შედეგების შექმნას, რადგან ამისთვის საჭიროა არა ჩვეულებრივი, არამედ ზესკნელ-ქვესკნელში მოარული, პიროვნების განვითარებაში დაწესებული საზღვრის მიღმა გაღწეული გონი და მართლაც ბედნიერებაა ასეთი შეშლილობა, რომელსაც „ღვთაებრივ სიშმაგეს, შთაგონების ძალას“ უწოდებს ემზარ კვიტაიშვილი („მარადიული ბავშვი“) (კვიტაიშვილი, 2012: 86-99).

გალაკტიონოლოგიის IV ტომში შეტანილია ვახტანგ ჯავახაძის – გალაკტიონისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანის „უცნობის“ ავტორის წერილი „ისევ გალაკტიონი“, რომელშიც არის ასეთი მოგონება „გიჟის ხალათი გერჩიოს“, სადაც ავტორი მოგვითხრობს საგულისხმო ამბავს: „ერთხელ „მერანის“ ერთ - ერთ ოთახში შესულმა ფრიდონ ხალვაშმა ყური მოჰკრა კოლაუ ნადირაძის სიტყვებს:

- გიჟი იყო!
- თქვენ ამტკიცებთ, რომ იგი გიჟია? მეც ასე ვფიქრობ. დიახ, გიჟია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ გიჟმა ახალი პოეზია შექმნა.

კოლაუ ნადირაძის ბრალდება გალაკტიონს ეხება, ხოლო ანატოლ ფრანსის პასუხი – პოლ ვერლენს“ („გალაკტიონის დაღუპულ მამას“).

დიახ, ასე გამოესარჩლა ასი წლით ადრე ფრანგი მწერალი ქართველ პოეტს.

- არანორმალურია მისი ლექსების დიდი ნაწილი – ეს სიტყვებიც წარმოთქვა იმ დღეს კოლაუ ნადირაძემ, „ნორმალურმა“ პოეტმა“ (ჯავახაძე, 2008: 14).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალშვანგი (1963): ალ. ალშვანგი, ბეთხოვენი, მთარგმნელი კ. ბერიშვილი, რედაქტორი რ. ჯაფარიძე, თბილისი. გამომცემლობა „ნაკადული“;
- ესეები (1989) ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. თბილისი, გამომცემლობა „მერანი“;
- გამსახურდია (1995): ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, (ამონარიდი), სარედაქციო კოლეგია მიხეილ (გელა) სალუაშვილი, ბექან შერგელაშვილი, კობა მახაური, თბილისი, გამომცემლობა „ხმა ერისა“, თბილისი;
- კვიტაიშვილი (2012) ემზარ კვიტაიშვილი. პოსეიდონის საუფლოში („ქალაქი წყალქვეშ“), კრებული გალაკტიონოლოგია, ტ. 6. რედაქტორი თეიმურაზ დოიაშვილი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი;
- ლომბროზო (2009) Ломброзо, Чезаре. Гениальность и помешательство. перевод с итальянского Г. Тетюшиновой, Москва, Издательство „РИПОЛ классик“;

- პო (1911): ედგარ პო ოთხ ტომად, ტ. II, თარგმანი ინგლისურიდან კონსტანტინე ბალმონტის, მოსკოვი, რუსულ ენაზე;
- პო (2001): ედგარ პო, რჩეული ლირიკა, = Selected verse, რედაქტორ შემდგენელი ლეილა გამსახურდია, კოტე ჯანდიერი. პირველი გამოცემა. გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი;
- პო (2011) ედგარ პო, მოთხრობები, თარგმანი ზაურ კილაძის, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი;
- ტაბიძე (1993) გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I. ლექსები. შემდგენლები: ხუტა გაგუა, ჯანსუღ ღვინჯილია, ვახტანგ ჯავახაძე. გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი;
- ჯავახაძე (1991): ვახტანგ ჯავახაძე, უცნობი, გალაკტიონ ტაბიძე, გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი;
- ჯავახაძე (2008) ვახტანგ ჯავახაძე. ისევ გალაკტიონი, კრებული გალაკტიონოლოგია, ტ. 4. კრებული ეძღვნება გალაკტიონის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის 100 წლისთავს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი;